ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29261542**
თარიღი:**03/06/2026**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის N 29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის N 29.292601418 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1) განკარგულების დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,, მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი:

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

2. ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან/და საჭიროებების შეფასების(სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას.

3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.''.

მუხლი 2.განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM